ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 37233563**
თარიღი:**22/12/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ნოემბრის #22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - მუნიციპალიტეტის მერის მიერ შემოტანილი დადგენილების პროექტი (შემდგომში პროექტი) და დაადგინა:

1. მიმდინარე პერიოდისთვის სამხედრო აღრიცხვაზე პირის აყვანას, გაწვევასა და მობილიზაციას ანხორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური.

2. 2024 წლის 01 იანვრიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის - „თავდაცვის კოდექსი“-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის საქმიანობას განხორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების შეტანას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში, ანუ მერიის დებულებით მიმდინარე პერიოდისათვის ფუნქციონირებს 8 სამსახური, ხოლო 2029 წლის 01 იანვრიდან მერიის ახალი სტრუქტურით იფუნქციონირებს 7 სამსახური.

4. პროექტი წარმოდგენილია საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და კომისიის მიერ რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ეროდი გორდელაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი